ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1843330

ნომერი: AR1302273

თარიღი : 16.04.2015

გაცემის თარიღი : 21.04.2015

გაცნობის თარიღი : 21.04.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზის მე-12 კმ-ზე.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა მოდრეკილაძე პ/ნ 01023007690
- თბილისი ნ.ბუაჩიძის ქ. N 4 ბ. 11

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ავტოსამრეცხაო

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2015 წლის 16 აპრილის #AR1302273 განცხადების პასუხად, რომლუთაც ითხვოვთ საკადასტრო გეგმით #01.10.06.004.001 მიწის ნაკვეთზე ავტოსამრეცხაოს ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას გაცნობებთ, რომ ავტოსამრეცხაოს განთავსება უნდა ხდებოდეს ისე, რომ მასთან მომსახურეობა უნდა ხდებოდეს ქუჩიდან ჩაუხედავობის პრინციპის დაცვით, რაც წარმოდგენილი ესკიზური ვარიანტის მიხედვით ვერ განხორციელდება. ამასთან ასეთი ტიპის ობიექტის განთავსება აღნშნულ ტერიტორიაზე საჭიროებს სატრანსპორტო საშუალებების ინტენსიურ შესვლა-გამოსცვლას, რაც გაზრდის უსაფრთხოების რისკს, რადგანაც მდებარეობს სატრანსპორტო კვანძთან.

სასურველიოა შეცვალოთ მოთხოვნა საოფისე ან სავაჭრო ობიექტზე და რისთვისაც დამატებით უნდა წარმოადგინოთ გენგეგმა საპროექტო ობიექტის და დაინტერესებაში არსებულ საკადასტრო ერთრეულზე პარკირების ჩვენებით თუ როგორ მოხდება საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრევბში მანქანების შესვლა-გამოსვლა, ისე რომ არ მოხდეს მოსახვევის, კუთხის შეზღუდვა და უსაფრთხოების რისკის გაზრდა.

თუ პარკირება და მანქანების მოძრაობის სქემა დაფიქსირდება ქალაქის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მესაკუთრეს თანხმობა.

ასევე გაცნობებთ, რომ შენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გასავლელად აუცილებელ დოკუმენტებს წარმოადგენენ:

1) ტოპოგრაფიული გეგმა – (ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილმასშტაბიანი (მ 1:10000 და ნაკლები) ნახაზი ჰორიზონტალურ სიბრტყეზე, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გარეშე ასახავს ფიზიკურ გარემოს), სადაც მითითებული უნდა იყოს ფურცლების რაოდენობა და ყოველი ფურცელი უნდა იყოს დამოწმებული ისე, რომ იძლეოდეს მისი განმახორციელებელი შესაბამისი სამშენებლო საქმიანობის ძირითადი და მათ შორის, პასუხისმგებელი სპეციალისტების იდენტიფიცირების საშუალებას. აღნიშნული დოკუმენტი უნდა ატვირთოთ ამავე განაცხადის შესაბამის ველში (არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 *).

2) საინფორმაციო დაფა – (განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში დაგეგმილი მშენებლობისას, ნებართვის მაძიებელი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსებას, რომელზეც უნდა იყოს აღნიშნული მოსალოდნელი მშენებლობის მონაცემები, კერძოდ: ა) შენობა-ნაგებობის მისამართი; ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები; დ) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი; საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ) აღნიშნული დოკუმენტი უნდა ატვირთოთ ამავე განაცხადის შესაბამის დახარვეზებულ ველში (აინფორმაციო დაფა-ბანერი*).

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.